ძვირფასო პირველკურსელებო, გილოცავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის – კავკასიაში პირველი აკადემიური იურიდიული სკოლის სტუდენტობას!

იურიდიული ფაკულტეტი ასწლოვან ასაკს ითვლის და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისი აკადემიური ტრადიციების გათვალისწინებით, განათლების ბაზარზე მოთხოვნის, სწავლების ხარისხის, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა თუ სხვა მაჩვენებლებით იგი ლიდერია. იურიდიული ფაკულტეტი თქვენ მოგცემთ ფუნდამენტურ ცოდნას, რომელიც თქვენი პროფესიული წარმატების საწინდარია. აქ თქვენ შეხვდებით იმ პროფესორებს, რომლებიც ქმნიან ქართულ იურისპრუდენციას. სტუდენტობის წლებში თქვენ შეიძენთ მეგობრებს, რომლებიც ცხოვრების მანძილზე გაჩუქებენ სიყვარულსა და პროფესიულ მხარდაჭერას.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე! განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები სწავლის გაგრძელებას განახლებულ მეორე აკადემიურ კორპუსში შეძლებენ. ვიმედოვნებთ, რომ თქვენ სრულად გამოიყენებთ იმ შესაძლებლობებს, რომელსაც გაძლევთ უნივერსიტეტი.

თსუ იურიდიული ფაკულტეტი - consortium omnis vitae - მთელი ცხოვრების თანამეგობრობა.

პირველ ეტაპზე, აუცილებელია სრულად გაიაროთ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, რისთვისაც გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

პირველი ნაბიჯი

- **შეავსეთ** (დიდი ალბათობით, უკვე შეავსეთ კიდეც) **სტუდენტის ელექტრონული ანკეტა** უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://www.tsu.ge

მეორე ნაბიჯი

- 2020 წლის 3 სექტემბრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით (10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე) მობრძანდით თსუ-ის პირველი აკადემიური კორპუსის ბიბლიოთეკაში და **წარმოადგინეთ შემდეგი დოკუმენტაცია**:

ა) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის / პასპორტის ასლი (დედნის წარმოდგენით);
გ) ორი ცალი ფოტოსურათი (3x4), ელექტრონული ვერსია CD-ზე;
დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);
ე) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
დ) არასრულწლოვანი სტუდენტობის კანდიდატის ნაცვლად, თსუ-თან ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილია მისი მშობელი (წარმომადგენელი), სტუდენტობის კანდიდატის დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლისა და მშობლის პირადობის მოწმობის ასლის წარმოდგენის შემთხვევაში.

მესამე ნაბიჯი

- **ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ხელშეკრულების გაფორმება:** (2-9 სექტემბერი) სრულად უნდა გადაიხადოთ სწავლის სემესტრული საფასური „TBC ბანკის“, „საქართველოს ბანკისა“ ან „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში. ასევე, „საქართველოს ბანკის“, „ლიბერთი ბანკისა“ და „TBC Pay“ (სწრაფი ჩარიცხვის) აპარატების მეშვეობით. სწავლის გადახდასთან, დაფინანსების პროგრამებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებით ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საფინანსო განყოფილებას – თსუ პირველი აკადემიური კორპუსი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №019, უნივერსიტეტის ცხელი ხაზი: 250484, ოპერატორს სთხოვეთ საფინანსო დეპარტამენტთან დაკავშირება.

მეოთხე ნაბიჯი

- **აკადემიური რეგისტრაცია - სასწავლო საგნების არჩევა:** აკადემიური რეგისტრაციის ვადებთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსდება ფაკულტეტის ვებგვერდსა (→ https://tsu.ge/ge/faculties/law) და LMS.TSU.GE ბაზის საინფორმაციო დაფის განყოფილებაში.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ბაკალავრიატის სალექციო მეცადინეობების ცხრილი განთავსდება ფაკულტეტის ვებგვერდზე მიმდინარე წლის 8 სექტემბერს, 17:00 საათზე. სალექციო ნაკადების არჩევას იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები შეძლებენ 11 სექტემბერს, 17:00 საათიდან. აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება ბაზაში LMS.TSU.GE, საიდანაც უნდა აირჩიოთ სასურველი საგნები (შეგიძლიათ ისარგებლოთ

ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერით). გახსოვდეთ, რომ სასწავლო დისციპლინაზე რეგისტრაცია ბოლონიელ გლოსატორთა პრინციპით ხორციელდება „prior in tempore, potior in iure“ (დროში პირველი, უფლებაში უპირატესი). მომდევნო დღეებში საჭიროების შემთხვევაში მოხდება სალექციო დისციპლინებზე ადგილების დამატება და არცერთი სტუდენტი არ დარჩება სავალდებულო საგანზე ან სასემინარო ჯგუფში რეგისტრაციის გარეშე. სავალდებულო საგნებზე ადგილები დაემატება მოთხოვნის შესაბამისად. თუკი ვერ დარეგისტრირდით რომელიმე სავალდებულო ან არჩევით დისციპლინაზე, გთხოვთ, მოგვწეროთ LMS.TSU.GE ბაზიდან. ამისათვის საგნის გასწვრივ მონიშნეთ ღილაკი „მოთხოვნები საგანზე“ და გამოგზავნეთ განცხადება.

იურიდიული ფაკულტეტი მოგმართავთ თხოვნით, გადაამოწმოთ ბაზაში თქვენი საკონტაქტო ინფორმაციის (უპირატესად ტელეფონის ნომრის) სისწორე, რათა შეძლოთ ფაკულტეტისგან მოწოდებული ინფომაციის დროული მიღება.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს მიმდინარე სემესტრში სწავლის დაწყება/გაგრძელება შეეძლებათ უნივერსიტეტის განახლებულ მეორე აკადემიურ კორპუსში. ამასთან, მეორე კორპუსი სტუდენტების მისაღებად სრულად მზად იქნება მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესი 14 სექტემბერს დაიწყება ონლაინ რეჟიმში (დისტანციური ვიდეოსაკონფერენციო საშუალებით „Zoom“), თუმცა სააუდიტორო მეცადინეობები დაიწყება ოქტომბრის პირველი ნახევრიდან. Zoom-ის პლატფორმის გამოსაყენებლად აპლიკაციაში აუცილებლად უნდა დარეგისტრირდეთ მეილისა და პაროლის მეშვეობით, რომელიც ასახულია LMS.TSU.GE ბაზის პირველივე გვერდზე. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ Zoom-ის აპლიკაციაში მიუთითოთ სახელი და გვარი ქართულად. Zoom-ის აპლიკაციის გამოყენების ინსტრუქცია იხ. ფაკულტეტის ვებგვერდზე.

ამასთან ერთად, საფაკულტეტო რესურსების გათვალისწინებით, სააუდიტორიო ფორმატში ჩატარდება შედარებით მცირე სალექციო ნაკადები და ყველა სასემინარო ჯგუფის მუშაობა. ყველა იმ სალექციო კურსის ნაკადისთვის, რომელიც განხორციელდება დისტანციური საშუალებით, სააუდიტორიო ფორმატში შეთავაზებული ექნება სალექციო/საკონსულტაციო შეხვედრები, რის თაობაზეც გეცნობებათ დამატებით.

პირველკურსელთა რეგისტრაციის პროცესის პარალელურად, იურიდიული ფაკულტეტი გეგმავს საორიენტაციო შეხვედრას ფაკულტეტის პირველკურსელებთან, რომელიც გაიმართება პირველკურსელთა რეგისტრაციის დღეებში: 3, 4, 7 და 8 სექტემბერს, 17:00 საათზე.

ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამიდან ჩარიცხულ სტუდენტებს მათი ჩარიცხვის ბრძანებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ, მიმართოთ იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროს სპეციალისტს მაია მეტრეველს (პირველი კორპუსის ოთახი №224, ტელ.: 595903343).

პირველი კურსის პირველ სემესტრში რეკომენდებულია შემდეგი საგნების გავლა:
1. შესავალი სამართლისმცოდნეობაში (სავალდებულო);
2. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში (სავალდებულო);
3. შესავალი სამოქალაქო სამართალში (სავალდებულო);
4. ქართული სამართლის ისტორია (სავალდებულო);
5. უცხო ენა - ინგლისური/გერმანული/ფრანგული/რუსული (სავალდებულო);
6. რომის სამართლის საფუძვლები (სავალდებულო).

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების დასაზუსტებლად შეგიძლიათ მიმართოთ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურების ჯგუფს, დაგვიკავშირდეთ ცხელი ხაზის ნომერზე - 250484.

ინფორმაციის/კონსულტაციის მისაღებად სტუდენტს შეუძლია, გამოიყენოს LMS.TSU.GE ბაზა. მიაქციეთ ყურადღება, რომ განაცხადი უნდა გამოიგზავნოს შეტყობინების შინაარსის რელევანტური კატეგორიის გრაფიდან. ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით მოიწერეთ კატეგორიიდან „ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები“. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით უნდა გამოიყენოთ გრაფა **„IT support“**. დეკანთან კომუნიკაცია შესაძლებელია გრაფიდან **„მისწერე დეკანს“**.

კანცელარია: chancellerylaw@tsu.ge

დაგვიმეგობრდით სოციალურ ქსელში ☛ TSU.Faculty.of.Law
tbilisistateuniversity_law

სტუდენტებთან კომუნიკაციის გამარტივების მიზნით Facebook გვერდთან შექმნილია სტუდენტთა მომსახურების ჯგუფი, საიდანაც მიიღებთ ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

საყურადღებო ინფორმაცია:
1. იხ. თსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი: www.tsu.ge
2. იხ. სამართლის საბაკალავრო პროგრამა (იურიდიული ფაკულტეტის ვებ. გვერდი): https://tsu.ge/ge/faculties/law
3. ეთიკის კოდექსი

გისურვებთ წარმატებებს!